

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინთაის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, ბარეშე მცხოვრებთათვის; В редакцію газ. „Дრობა“.

ბაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სა-მისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ცელი ასო-ებით ასტზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ტროთი—5 კაპ., პატარატი—4 კაპ.

რედაქციას უზღუბა აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბე-დათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბე-ღელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

ხელის - მოწერა

დაგვიშალ მოკვლეთათათვის

მსია მეცამეტე	მან.	კაპ.
არხიმანდრიტმა მაკარამ	10	„
მრისტეფორე ი. მამაცაშვილმა	12	„
	22	„
აღრინდელი იყო	409	84
სულ არის	431	84

ტელეგრაფები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში“)

კატარბურლი, 22 მაისს. ბაზეთს „ბო-ლოსში“ იწერებინან შენილამ: რუსის ჯარები შიპკილამ და შილენილამ გამო-ვიდნენ. ნოვო-ბაზარში სისხლის ღვრა მოხდა, მსმალოს ჯარები და ბაში-ბუზუყები შეიტაკნენ.

ფილიპოპოლი, 22 მაისს. მეროპის კომისიამ ერთ-ხმად გადაწყვიტა, რომ შილიპოპოლის გამგეობა ალექო-ფაშას გადასცეს. ალექო-ფაშამ ყველა უწყე-ბის უფროსებად და ჩინოვნიკებად, გარ-და შიპიტისა და შიტალისისა, ბოლგა-რიელები დანიშნა.

კატარბურლი, 22 მაისს. „მმართვე-ლობის მოამბეში“ იწერებინან, რომ მდინარე ამური და სხვა პატარა მდი-ნარეები, რომლებიც იმას ჩაერთიან, გადიდებულან, გამოსულან ნაპირილამ და წაუღიკაეთ ყანები, საბალახოები და გზები. შალაქს შლაგოვესჩენსკს შიში აქვს, რადგან წყალი ზოგან ქალაქის კედელზე უფრო მაღლა დგას. ამ ქა-მათ მდინარეები თან-და-თან დიდდება.

კატარბურლის ბირჟა, 23 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	96	50
მეორე	95	„
მესამესი	95	50
მეოთხესი	95	50
აღმოსავლეთის პირ.	92	50
აღმოსავლეთის მეორე	92	25
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8	40

თფილ: თავად-ან. ბანკის გირაოს ფურცელი — „ — „ შინაგანი 5% სესხის ბილეთები მან. კაპ.

პირველი სესხის	241	50
მეორე სესხის	236	50
1 მანეთი ღირს:		
ლონდონი	23	75 პენსი
ამსტერდამი	117	75 ცენტი
ბერლინი	202	75 ჰფენიგი
პარიჯი	250	„ სანტიმი
ბაგასიის კერასინი	„	„

საქართველო

თავად-აზნაურთა უჩილობა და ამისი უადვი.

(დასასრული)

თავად-აზნაურთა კრებამ, ვისაც კი სმა და მონაწილეობა ჰქონდა საადგილ-მამულო თფილისის ბანკში, შესწირა, ბანკის მმართველობის წარმოდგენით, თავისაგანვე დაარსებულს სასაწავლებელს ათას სამასი თუმანი, რადგან ეს სასწავლებელი დიდათ საჭიროებსო შემწეობას შემდეგი არსებობისათვის.

ამავე კრებამ შესწირა დიმიტრი ში-ფიანის: შუამდგომლობით და მკვერ-მეტყველურის თხოვნით, ათას ორმოცდაათი თუმანი დაარ-სებულს საზოგადოებას „ცოდნის გან-შირებისათვის ქართველთა მცხოვრებთ შორის ბაგასიის სანამესტნიკოში.“

ნათქვამია: „კულა ხარი თავისთვის არ იყოვო, სხვას კი ბუზს უგერებდა.“

თუ შემოთ მოხსენებულს პირველს სასწავლებელს უჭირს არსებობა, იმ სას-წავლებელს, რომელიც თვით თავად-აზნაურების ფულით დაარსდა, მაშინ სხვას რაღას აძლევენ ფულებს? — ჰერ თავისი სასწავლებელი ჰყონ უზრუნვე-ლი და შემდეგ ვასცენ მოწყალეობა, თო-რემ რომ ქოთანს ლოკავდნენ და არც ერთი კი არ იყოს მძღარი, არც ის არის კარგი! *)

რაც უნდა იყოს, ყოველს შემთხვე-ვაში, რაკი ამ ქველ-მოქმედების მაზანი არის სწავლა და განათლება ჩვენის მა-მულის ღარიბების და ობლებისა, ჩვენ-

*) რედაქცია, რასაკვირველია, ამ აზრში სრუ-ლიად არ ეთანხმება პატივცემულ ავტორს. ამ საგანზე იმან გამოთქვა თავის აზრი სტატიაში „ჩვენი თავად-აზნაურობა“.

გნითაც სრული თანაგრძობა ეძლე-ნებს ამ საქმეს.

მე მსურს მხოლოდ აქ ერთი აზრი ჩაერთო.

1) რადგან ვიცი, რომ ჩვენთა ახალ მოსწავლეთათვის ჯერ არა გვაქვს საკ-მაო და ხეირიანი სახელმძღვანელო წიგ-ნები, და უწყვი რომ საზოგადოება, დამ-მარსებელს ამ სასწავლებლებისა ექნე-ბა არა ერთ გზის კრება და ამ საგანზე-დაც მუსიათი, — უჩრჩვე მოილაპარაკონ წვერთა და დაადგინონ: „ვინც წარუდ-გენს მათ ამა და ამ სახელმძღვანელო წიგნს (პირველ-საკითხავს) არითმეტრიკას, ბაგასიის შემოკლებულს ლეოლორაფიას, საქართველოს შემოკლებულს ისტო-რიას და სხვანი, ამა და ამ დრომსა-თვის, ის მიიღებს ჯილდოთ (премия) ამთენს და ამთენს მანეთს და სხვანი.“

2) მიციით, რომ ამ ახლათ-დაფუძენ-ებულთ ანუ დასაფუძნებელთ სასწავლე-ბელთ ჯერ არავითარი საკვიდრო და საბოლოო სახსარი არ უჩინათ... აბი, თუნდ ცოდნის განშირების საზოგადო-ებას... მიციით კი, რომ ამ საზოგადოებას 126 დამმარსებელი წევრი ერთიცება; ესეც ვიციით, რომ ამათ უნდა შეიტა-ნონ წელიწადში ორ-ორი თუმანი, ანუ 2,520 მანეთი, (რომელიც დიდ სა-განს არ შეადგენს) და ესეც მოსაფიქ-რებელია და დასაჯერებელი, რომ უქე-ტეს წილს ამ წევრების ოჯახებში, ხან დისხან დროს მისა გასატა-რებლათ, შეეოქცოდნენ ქალა-ლის თამაშობას: იარალაშს, პრაჭერანს, ბეზიკს, ბასტონს და სხვაი... და ეს თუ საეჭო არ არის; ის უფრო უფქველია, რომ მათი მოსამსახურეები სარგებლო-ბენ ორ-ო ღმანათს ქალაღის ფულს... რა იქნება, რომ ამგვარ შემთხვევაში მასპინძელმა, ანუ მასპინძელამ იკისკროს და სთხოვოს სტუმრებს, რომ თითო მანათიც სასწავლებელი სსასარ-გებლოთ გადასწერონ ხოლმე... არა მგონია, რომ სტუმრებს სამძიმართ შა-ექნათ ამ გვარი კეთილი მიზნისთვის ქველ-მოქმედების გამოჩენა და დაიშუ-რონ რამდენიმე გროში?.. (**)

თუ ამ საფუძნელით დაუახლოვდით ამა-ვე აზრის აღსრულების იმედს, მაშინ, გამოანგარიშება თთვიური შემოსავლის ჯამისა უფრო ადვილია. აბი, მაგალიტად. ესთქვათ 126 ოჯახილგან, რაც უნდა

*) შეიძლება სათამაშო ქალაღი თთვიონ მასპინძელმა იყიდოს და მოგება სასწავლებ-ლისათვის გადასდოს; მსახურს თავისი ჯამაგი-რიც ეყოფა.

სხვა გარემოებით და გართვით იყენენ მოშორებულნი ქაღალდის თამაშობას, ოცს ოჯახში მაინც ითამაშებენ ყოველ ღამე, რიგ-რიგით, რასაკურევლია... მაშასადამე, ამ ანგარიშით, თვეში შემოვა 600 მანეთი და წელიწადში— 7,200 მანეთი!...

მაი თუ ფუჭათ ჩაიაროს ამ აზრმა!... ადვილი ასასრულებელი კია, მით უმეტეს რომ, რამთენნი ჩვენთაგანნი, ტუფილა-უბრალოთ, ვინ იცის, რაში და რაში არ აბნევენ ფულებს!?

იმავე კრებამ უძღვნა ქართული თეატრის დამაარსებელს ამხანაგობას, ამ თეატრის გასამართათ და მოქმედებაში მოსაყვანათ, 3,000 მანეთი. ღმერთმა ქნას, ხეირონათ მოიხმარონ ეს ფული.

შეკითხურები:

1) იქორაონ ერთი კარგი დიდ-ხალინი სახლა... თუნდა რასაი თუმანი მისცენ წელიწადში, უფრო იაფათ დაუჯდებათ, ვიდრე თითო წარმოდგენისთვის ოც-ოცი თუმანი აძლიონ თეატრის ქირა... ამ გვარ ნაქირავებელს სახლს ხომ ოთახებიც ექნება: აკტირების და აკტიორების მოსარჩევლათ, საგანძურეთ, ბუჭეტათ და სხვანი...

2) ან ააშენონ ხის შნოიანი სახლი, როგორც პატარა ცირკი და ამისთვის ითხოვონ ალექსანდროვის ბაღის მივარდნილი კუთხე, რომელიც შაფლანთან სახლებს ეახლოვება... თუკი შეინდგას მისცეს ადგილი, თეატრს რაღათ დაუჭერენ?... და მაშინ თეატრს ბაღიც ექნება სასეირნოთ ზაფხულში; მოსეირნე ხალხიც უფრო მოვა და თეიორნის მხარე ბაღისაც დაშნოიანდება და განათდება...

ამ გვარს შენობას, მგონია ეყოს 1000 1500 მანეთი და ეს უფრო იაფათ დაუდება, მანამ კვირაში (თუნდა ათ თუმანათ იშოვნონ საქირავებელი თეატრი.

და 3) მინც პიესა დასწეროს—ჯილდო დაუნიშონ.

პრაგველი

12 მაისს, 1879 წელსა

დღიური

საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ მიჯდომარე აცხადებს, რომ წრეგანდელი უკანასკნელი ყრილობა ამ საზოგადოებისა იქნება სამშაბათს, 29 მაისს, საღამოს 8 საათზე, და ვისაც ნამდვილ წევრათ შემოსვლა სურს, უნდა ამ ყრილობამდის გამოაცხადოს, თორემ ყრილობის შემდეგ მომავალს წლამდის წევრათ აღარავინ მიიღება.

მოგვხსენებათ, რომ სამეგრელო და აბხაზეთი განთქმულია ჩვენში ქურდებით. ამ უკანასკნელ ხანებში სამეგრელოს ორს უფლებში—სენაკისა და ზუგდიდისა—განსაკუთრებით განხირებულ თურმე ქურდობა უფრო ცხენებისა და ხარებისა.

მთავრობამ და საზოგადოებამ ათას გვარი საშუალება სცადა ამ უფლებში ქურდობის მოსაპოვებლად; მაგრამ არა ეშველა-რა. მართი ჩვენი კორესპონდენტი ურჩევს ახლა ერთს ახალ ღონისძიებას, რომლის შემწეობითაც, იმის აზრით, სულ თუ არ მოიპოვება, შემცირდება მაინც ეს განხირებული ქურდობა ხსენებულს უფლებში..

მა საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ მამასახლისებს ჰქონდესთ სია თავის სამამასახლისოს ყველა გლეხების ცხენებისა და საქონლისა და როდესაც სოფელში ახალი საქონელი გამოჩნდება, იმწამსვე სტაცოს ხელი და უფლის უფროსს წარუდგინოს.

ამგვარის წესდების შემოღება განსაკუთრებით საჭიროაო სამეგრელოში, აბხაზეთში და სამეგრელოს მოსამხლვრე იმერეთშიო.

მა აზრი ღირსია ყურადღებისა.

სიღნაღიდან იწერებიათ "თფილისის მოამბეში", რომ იქაურ უფლის უფროსს გამოუყვანია სოფლებიდან ხალხი კალიის გასაწყვეტათ. ხალხს თავის მხრით გაურეკია ღორები, რომელიც ძალიან მადიანათ სჭამს თურმე კალიას და ეს საუკეთესო საშუალებაც არისო ამ საძაგელი ცხოველის გასაწყვეტათო.

სამართალი

ტატო წულუკიძის სამამე

თფილისის ოლქის სასამართლოში

ბუშინ, 25 მაისს, ნაშუადღევს პირველს საათზე თფილისის ოლქის სასამართლომ გაათავა განხილვა ტატო წულუკიძის და იმის ამხანაგების საქმისა.

ბრალდებულთ გარდაუწყვეტეს: ტატო წულუკიძეს—10 წლით ციმბირში გაგზავნა რუდნიკებში სამუშაოდ;

ჭიტესა ნასყიდაშვილს—12 წლით ციმბირში გაგზავნა კატორღაში;

ილიკო ალერწიანს—6 წლითა და ოთხი თვით ციმბირი;

სარდაროვი და ორი სხვა დამნაშავე, რომელთაც ამათ დატარვასა და ზოგიერთს ავანკობაში მონაწილეობის მიღებას აბრალდებდნენ, სასამართლომ გაათავისუფლა.

ტატო წულუკიძე, ჭიტესა ნასყიდაშვილი და ილიკო ალერწიანი, როცა კატორღის ვადას შეასრულებენ, შემდეგ ციმბირში იქნებიან დასახლებულნი.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! ამას წინათ "ღროებაში" იყო მოხსენებული შესახებ ქართული საეკლესიო გალობის ნოტზე გადაღებისა.

აგერ ორი თვეა მას აქეთ, რაც ეს საქმე ამის თაობაზედ შემდგომმა კომიტეტმა, საქართველოს ექსარხის

ნოანნიკეს ნებართვით, მე მომანდო და, რასაკვირველია, მაშინვე შეუდგენი შუშობას: მაგლობები გადაიწვიან და საქმითი გალობა გადამაქვს ნოტზე სამხმათ.

პირველი ჩემი ცდა ის არის, რომ გადავიღო ნამდვილათ და შეუშოვლიათ ის გალობა, რომელსაც გადმომცემენ მოწვეულნი ამ საქმისათვის მკოდნენი ძველი ქართული გალობისა გურული მაგლობლები.

საქმე ჯერ-ჯერობით კარკათ მიდის. ამ ორ თვეში დაიწერა დიდი მწუხრის საგლობლები: "აკურთხებს სული ჩემი უფალსა", ნეტარ არს კაცი", "შუალო ღალად ვეჟ" 1, 2 და 3 ხმები მისი დასდებულით და დიდებებით-

პირილის პირველ რიცხვებში არხიმანდრიტმა მაკარიმ, რომელმაც დიდი მზრუნველობა მიიღო ამ საქმეში და კამიტეტის თავს-მჯდომარეთ არის ამორჩეული, ისურვა განხილვა ჩემი ნაწარმოებისა. ამისათვის მან მოიწვია კომიტეტის წევრი რამდანიმე ეგზარხის ხორის მაგლობელი და რეგენტი; ამ უკანასკნელთა უნდა ეგალობნათ ნოტზე გარდაღებული ქართული გალობა, რომ კომიტეტს და გურულ მაგლობლებს ენახათ თუ რამდენათ ეთანხმება ნოტზე დაწერილი გალობა ნამდვილ მათგან ნამღერს გალობას. ამ რიგათ ცხდათ ნახეს, რომ გალობა იყო გადაღებული ნამდვილათ და შეუშოვლიათ და გალობაც გამოდის სასიამოვნოთ.

—მთხოვთ, უფ. რედაქტორო, არ დაუჭიროთ ამ სტრიქონებს ცოტაოდენა ადგილი პატივცემულს თქვენს გაზეთს "ღროებაში"; გთხოვთ, მიტომ, რომ ჩვენ გესურს ხან-გამოშვებით ვატყობინებდეთ ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით ვისთვისაც საინტერესოა ეს საქმე, რაც გადაიღება ნოტზე და განხილვება კომიტეტის მიერ.

მ. მაჭავარიანი.

1879 წ. 14 მაისი.

შუთაისის თავად-აზნაურთა კრება

მეორე სხდომა, 22 მაისს.

მაისსა 10 საათზე.

თამაჯლომარემ მოახსენა კრებას შვარიანის თაობაზე. შვარიანი გაგზავნილი ყოფილა ციმბირში რაღაც დანაშაულობისათვის. შვარებამ მოსთხოვა განჩინების პირი. მანჩინება დღეს ვერ მოიტანეს, მაგრამ ერთმა შვარიანის ნათესავმა სტეჟა, რომ როგორც არხაში სწერია, სწორედ ისრე არისო; სულ უბრალო დანაშაულობისთვის არის გაგზავნილიო.

თ. ნ. ჩიჯავაძე. რა არის მაინც მისი დანაშაულობა?

— ქურდობაო! მამოისმის ერთის მხრიდან.

თ. ნ. შრისთავი. მე მგონია, წესდების და ჩვენი კანონის ძალით, უფლება არა გვაქვს ჩვენ ექონიოთ მსჯელობა მათგანსა საქმეებზე.



თავმჯდომარე. ღიან, რაც საზოგადო სარგებლობას შეეხება, მართლ იმაზე უნდა ვიქონიოთ სჯა.

მერაბ ლორთქიფანიძე. მერთხოვრეთ სწორეთ მაგისტანა კაცების დაბრუნებას. უფრო საცოდავები არიან ის ოჯახები და პირები, რომლებიც მაგისტანა კაცებისაგან ახორბებულია და დატანჯული!

მამია ბურციელი. აგი რას გვანება, რომ ჩვენ ყველა რაზმონიკების განთავისუფლება ვითხოვთ? როგორის თვალთ შიგვხედავს მართებლობა?

მ. ნ. ჩიჯავაძე. არა თუ დღეს გავიდეს მაგნიარი თხოვნა, არამედ მსურველნი უნდა ვიყენეთ, რომ არასოდეს არ წარმოგვიდგინონ კრებაში მაგისტანები. მე ვიყავი უფხლში, სადაც ყოველი კაცი უჩივის მტაცებლებს და ქურდებს, მაგრამ ვერა მოუხერხებიათ-რა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, მოგვენიჭოს ის უფლებები, რომ ცუდი კაცი თვითონვე ჩვენ განვდევნოთ ჩვენის საზოგადოებიდან, არა თუ ვითხოვთ, რომ გვაჩუქონ მაგისტანა კაცები! (ტაში და ბრავოს ძახილი).

ზადასწავლებელს უარი ეთქვათ შვარციანისთვის და აგრეთვე ყველა ამ გვარს თხოვნებზედაც.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას ვილაც შალიკაშვილის საჩივარი — კენჭში არ შევიშვესრა.

მ. ნ. მრისთავი. ბუშინაც იყო ამაზე ლაპარაკი და მე დაგვირდით საბუთების მოტანა, რომლითაც შემიძლია დავამტკიცო, რომ შალიკაშვილს არ აქვს სრული ცენზი. მაგრამ ამ საბუთებს მე არ წარმოვადგენ, თუმაჯა ჯიბეში მიძევს, სანამ კრება არ გაამტყუნებს და არ იცნობს უკანონოდ დებუტატთ კრების და უფხლის კრების გადაწყვეტილებას.

ბ. ბებურიშვილი. დებუტატთ კრება უკანონოთ მოიქცა შალიკაშვილის კენჭიდან გამორიცხავში.

ნ. მრისთავი. იმათს გადაწყვეტილებაზე თვითონ უფ. ბ. ბებურიშვილმა მოაწერა ხელი ესლა კი აცხადებს, რომ ის ქალღი, რომელსაც თვითონ ხელი მოაწერა, უკანონოთ შემდგარია! მის კაცია, რომელსაც რაღაც უბედურებათ ხელში ჩაგარდნია მთელი უფხლის ბედი და უბედობა!

თხოვლობენ კენჭს. „კენჭი გაასწორებს, ვის მივსცეთ ხმა და ვის არა!“

ბ. ლოლაბერიძე. მე მგონია, დიდი დრო დაგვეკარგება, თუ მაგისტანა საქმეები აქ, კრებაში, განვიხილეთ. ამოვირჩიოთ უფხლებიდან ორ-ორი კაცი, შევადგინოთ კამისია და იმათ გაარჩიონ ყველა მაგ გვარი საჩივრები.

მარლამ მრისთავი. (თავმჯდომარეს). ბატონო, ერთი ეს მიბრძანე: კანონი რავე ამბობს, როდის უნდა წარმოადგინოს საბუთები თავდაზნაურობაში?

თავმჯდომარე. მაგ ზეპირად ვიცი. საში თვის წინეთ ყრილობისა.

მარლამ მრისთავი. მაშ კანონს ნუ შევხებით, და ვერც უყრი

კენჭს მაგისტანა კითხვებს, რადგან უკანონო იქნება!

ბ. ლოლაბერიძე. ბატონო, კანონი მეც მესმის, ზოგს ისე მესმის, ზოგს ასე. დღეს ჩვენ ვართ აქ უფალნი, რასაც უმეტესობა გადასწყვეტს, კანონიერიც ის იქნება. ჩემი აზრით ისაა, რომ კამისია შესდგეს, უფრო ადვილათ დაეზოლოვებთ საქმეს.

მ. დავით აბაშიძე. რა საჭიროა კამისიის დანიშნა? ჩვენ წავიკითხოთ აქვე ეს საჩივრები და აქვე გადავწყვიტოთ საქმე, თორემ დღეს კამისიის აღჩვენას მოუხდებით და ხელაღ მაგ საგანზე გვექნება ბაასი.

ბ. ლოლაბერიძე. ჩემის აზრით კამისიით უფრო მალე გათავდება საქმე.

შეიქნა გაცხარებული ბაასი. მის ჰსურს კამისია და ვის კენჭი! ანემბ. მაჩაბელი და ბიორგი ბებურიშვილი ერთი წინააღმდეგია კამისიისა და კენჭისა და მეორე, ბებურიშვილი, იცავს კამისიას.

პარ. ლორთქიფანიძე. ანემბ-დისტე მაჩაბელი და ბიორგი ბებურიშვილი მშვენიერად ლაპარაკობენ რუსულად, მაგრამ, ჩვენთაგანს ბევრს არ ესმის ეს ენა და თუ შეიძლება ილაპარაკონ ქართულათ და მაშინ ყველას შეგვიძლება შევიდეთ სჯაში მაგ ვითხვებზე,

ძრება დათანხმდა, ამაზედ.

მ. ი. ღარახელიძე. ბატონებო, რას უნდა უყაროთ კენჭი? სასიოცხოა მაგისტანა კითხვებზე კენჭის ყრა. დღეს თუ მოიტანოს საბუთები ვინმემ, უარს რად ვეუბნებით?

პ. ნემბ. მაჩაბელი. მაგ საჩივრები ჯერ განიხილა უფხლის კრებამ და უარი ჰყო; მერმე დებუტატთ კრებამ, ამანაც უარი უთხრა.

ბიორგი ლოლაბერიძე. უფხლის კრებამაც აბიდა მისცა და დებუტატთ კრებამაც აბიდა მისცა!..

მს სიტყვები ისე იყო წარმოქმული, რომ მთელს კრებაში სიცილი და ტაშის-ცემა ასტყდა და ამ სიტყვებმა გადასწყვიტა კიდევაც კამისიის საქმე.

აპოირჩიეს კამისიაში: თ. დავით აბაშიძე, თ. მიხაილ წერეთელი, თ. დავით მრისთავი, მიხაილ ღარახელიძე, ბრიგოლ ჯაყელი, ნიკ. ლოლაბერიძე და ლუარსაბ შიფიანი.

კრების წინ წარმოსდგა ათონის მთიდან ჩამოსული ჩვენებური ბერი. დაიწყო ამ სიტყვებით: „ათონიდან გამოგზავნილი ვარ — თქვენი მამულის შვილი“..

და მერმე გრძელს და გვარიანათ წარმოთქმულ სიტყვაში, გვიამბო ისტორია საქართველოს მონასტრისა, რომელიც ჩაუფლიათ ხელში ბერძენების ბერებს და აღარ გვაძლევდნო... ბუიშუამდგომლეთ, რომ მონასტერი გადმოგვეცნო, ნუ დაჰკარგავთ თქვენს საკუთრებას, ძვირფასი რამ არისო, ქართველების სახელიც იყოს ათონის მთაზედაო..

ძრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ბერის სიტყვა და ტაშის-კვრით გაათავებინა. მართი ხმით გადასწყვიტეს სხობონ ამ საგანზე მართებლობას.

თავმჯდომარე. მოგახსენებთ ერთ

წინადადებას: ხელმწიფე იმპერატორის სურვილით ყოველ წლით იგზავნებოდა რუსეთში ათი ყმაწვილი სხვა-და-სხვა კორპუსებში. მაგრამ, რადგან თფილისში განსწეს სახმედრო გიმნაზია, ამისათვის ჩვენ იქით აღარ ვაგზავნით ყმაწვილებს და თფილისშიაც სუთასს ყმაწვილში ორს უჭირს ვგზამენიის დაჭერა, ისე მკაცრად ცდიან. მითხოვოთ თუ შეიძლება, რომ ეს ათი ვაკანცია მოგვეცენ თფილისის სახმედრო გიმნაზიაში. მაშინ, იმედია, ისე მკაცრად აღარ მოეკიდებიან ვგზამენებზე!

— ძალიან კარგია, ძალიან კარგი! მიაყვირეს და გადასწყვიტეს თხოვნა.

ნიკ. ლოლაბერიძე. შევლამ იცის რა ნაირად ასწავლიან ახლა ჩვენს დედა ენას. ლათინურ ენაზე უმაღლეს კლასებში, გიმნაზიებში, თხზულებებს სწეტიენ და ქართულ ენაზე უბრალო ბართის დაწერასაც ძლივს ახერხებენ. ახლა იხსენება ყველგან შკოლები, სადაც პირველ-დაწყებითი სწავლა სამშობლო ენაზე უნდა იყეს და საიღამ ისწავლიან ამ შკოლებში ენას, თუ ენის მცოდნე მასწავლებლები არ ეყოლათ! ამისათვის საჭიროა, რომ უმაღლესს გიმნაზიის კლასებშიაც და ყველა ჩვენს სასწავლებლებში ასწავლიდნენ ჩვენს დედა-ენას. მითხოვოთ, რომ ეს ჩვენი სურვილი დაკმაყოფილდეს.. (ტაში და ბრავო).

ძირილუ ლორთქიფანიძე. მაგ საგანზე წასულ კრების დროსაც იყო ბაასი, და კიდევაც შესდგა პროტოკოლი. შეიწყნარეს ჩვენი თხოვნა, თუ არა?

თავმჯდომარე. ჯერ პასუხი არა არის-რა; მაგრამ ამ საგანზე ახალ პოპუჩიტელთან, ნანოვსკისთან, მქონდა მოლაპარაკება და აღმსთქვა, რომ ყოველ ღონის-ძიებით ჩვენი თხოვნის აღსრულებას, რადგან ის თვითონ ხელავს სარგებლობას.

ძირ. ლორთქიფანიძე. მაგ, მგონია, გაზეთებშიაც ქე იყო ნათქვამი.

თავმჯდომარე. ღიან, გაზეთებშიაც იყო.

ძრებამ გადასწყვიტა განიმგოროს თხოვნა ქართული ენის თაობაზე.

(ზაგრძელება)

უცხო ქვეყნები

შვეიცარია

6 (18) მაისს, კვირას, მთელ შვეიცარიის ხალხს უნდა გადაეწყვიტა კენჭით, მიეცეს ნება თუ არა კანტონის მმართველობათ შემოიღონ სიკვდილით დასჯა, რომელიც ეხლანდელი კანონების ნ მუხლის ძალით არის აკრძალული შვეიცარიაში 1874 წლიდან. შვეიცარიაში ექვსასი ათასი მეკენჭე არის. ამ რიცხვიდან ოთხას ათასმა კაცმა მართო მიიღო მონაწილეობა ამ კითხვის გადაწყვეტაში. მისაც უნდოდა სიკვდილით დასჯის შემოღება, უნდა დაეწერა პა-

ტარა ქალაქზე „ჰო“ და ჩეგლო ურ-
ნაში (კოლოფში), ვისაც არ უნდოდა,
უნდა დაეწერა „არა“. პირველმა პარ-
ტიამ 20 ათასი ხმის უმრავლესობით
გადასდო მეორეს და სიკვდილით დას-
ჯა ხელ-ანლად შემოიღეს შვეიცარიაში.
დასჯის შემოღების წინააღმდეგ იყვნენ
შენეისა და ნეეშატელის კანტონები და
დიდ-დიდი ქალაქები, მომხრეები იყვნენ
კონსერვატორები, კათოლიკეები და სო-
ფლოზები.

ინგლისი

ინგლისის გაზეთებში სჩანს, რომ
ის აელანის მცირე ნაწილი, რომელიც
იაკუბ-ბანა დაუთმო ინგლისს ბანდ-
მაკის ბანაკში, შემოიერთა ინგლისმა
ისეთისავე პირობით, როგორცაც შე-
მოიერთა მან პეიბრის კუნძული ოსმა-
ლოებისგან. ინგლისმა უნდა აძლიოს
აელანის შიშის ას-ოცი-ათასი გირვანქა
სტერლინგი და შემოსავალ-გასაყვლიდამ
დნარჩენი ფულები. ამ წლიურ შემო-
სავლის გარდა არავითარი ომის ხარჯი
არა ხდება დამარცხებულ აელანს.

განსხვავებანი

გორის უზღუდო სოფელს მარტოში
მცხოვრებელი თ. იასონ დავითის ძე. ცი-
ციანოში აქლავს იჯარით ანუ ღი-
რებულის ფასით გასყიდვით თავის ყო-
ველს უძრავს მამულებს: სახლს, ბაღსა
და ერთი მეოც-და-თექვსმეტედს საცი-
ციანოს მთასა მახლობლად რკინის გზის
სტანციასთან.

მსურველთ შუქლიანთ მიმართონ
ამავე სოფელს მარტოში მამულის მე-
პატრონესთან.

(3-1)

წიგნის-ცოდნის გამავრცელები-
ლი საზოგადოების თამაჯდომა-
რე მოიწვევს უზ. შემდგენელთ და
ნამდვილთა წევრთა საზოგადოები-
სა საერთო ყრილობაში შემოსა-
ვალ-გასავლის მოსახრებულ ანბა-
რიზის (სამტა) გაუიწვევისა და დამ-
ტკიცებისათვის.

ყრილობა იქნება 29 მაისს, სამ-
უაბათს 8 საათზე, საღამოს თავალ-
აუნაუხრობის ბანკის ზალაში.

(5-2)

**თფილისის მთავარ-
პოლიციამისტრისაგან**

პასპორტის წესდების მუხლის, ტომი
XIV-ის ძალით, არავის არა აქვს უფლე-
ბა, მოშორდეს თავის საცხოვრებელ ად-
გილს, თუ კანონიერი პასპორტი ანუ
მოწმობა არა აქვს (მუხ. 2, 3, 4, 9, 10,
12, 13, 14 და 15 იმავე ტომისა). იმა-
ვე წესდების 141 მუხლით მესხანები,
გლეხები ან ხიზნები, ვინც 30 ვერსზე
მოშორდებიან თავის სამუდამო საცხოვ-
რებელ ადგილს მუშაობის საშოვნელად
და თავის დასარჩენად, ვალდებული
არაიან აიღონ დაბეჭდილი და შემოწმე-
ბული პასპორტი (ბილეთი). ჩინოვნი-
კებმა, სამსახურში მყოფმა და გადაყე-
ნებულმა, აგრეთვე სასულიერო წოდე-
ბის პირთა, აზნაურებმა, იმათ ობლებმა,
საღდათებმა და იმათ ქვრივებმა თუ რა
წყობით უნდა აიღონ პასპორტი—ეს აღ-
ნიშნულია მე-XIV ტომის შემდეგ სტა-
ტიებში: 51, 52, 58, 59, 60, 68, 71,
72, 75, 89, 92, 112, 118, 119, 139
და 142. იმავე წესდების მე-41 მუხლით
უპასპორტოთ ანუ ვადა-გასულის პას-
პორტით არავის არა აქვს უფლება სად-
მე იცხოვროს.

თმისაც ვადა-გასული პასპორტი აქვს,

ანუ ვინც დაჰკარგა ბილეთი, ვალდე-
ბულია მოიქცეს წესდების მე-42 და 211
მუხლების თანახმად.

ვინც უბილეთოდ წაეა სადმე ან იც-
ხოვრებს, იმათ გადახდებათ პასპორტი-
სათვის ხვედრი ფული და ამას გარდა
61 მუხლის ძალით მომრიგებელი მო-
სამართლე გადახდევინებს მათ ჯარიმას
დღეში 15 კაპეიკამდინ და ერთად ერთს
თუშნამდინ. ამავე ჯარიმას გარდაინდიან
ის პირნიც, რომელთაც ვადა-გასული
ანუ უპასპორტო კაცები ანუ მდგმურე-
ბი ჰყავს თავის სახლში.

შეგო ამ კანონების საფუძველით,
წინადადებას ვაძლევ ქალაქის მთილისის
მცხოვრებლებს, რომ თუ ვისმესთან
ცხოვრებს ან ბიჭად არის ვინმე ვადა-
გასული პასპორტით ან სულ უბილეთ-
ოდ, დაუყოვნებლივ წარმოადგინონ
ეს პირები ჩემს გამგეობაში (კანცელა-
რიაში); წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც
ამ მოთხოვნისთვის არ ასრულებს, ისი-
ნი დაისჯებიან, როგორც განზრახ უბი-
ლეთო ხალხის დამმალაფნი და წესდე-
ბის მე-61 მუხლის მე-2 პუნქტის ძალით
გაგზავნილი იქნებიან მომრიგებელ მო-
სამართლესთან.

ამას გარდა საჭიროდ ვრაცხ ქალაქის
მცხოვრებლებს გამოუყვანო, რომ ის
პირნი, რომელნიც დატყარილნი იქნებიან
უბილეთოდ ანუ ვადა-გათავებულის ბი-
ლეთით, არამც-და-არამც არ იქნებიან
ჩემგან თავ-ღებობით განთავისუფლე-
ბულნი, არამედ ეტაპით (ქანდარებით)
გაიგზავნიებიან თავიანთ სამშობლო ქვე-
ყანაში.

მთილისის მთავარ-პოლიციამისტრი
პოლიციენიკი მერკლინგი

5 მაისს, 1879 წ.
მ. მთილისი.

(3-3)

რკ. გზა.	დღა.	ს. და.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაყანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 24 მაისს.		მრევნ ს. მაედანზე, წინამძღვარ-ის სახლში.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	პეკასის ექთა მზრის ყველა ქალაქებში.		შვეცი. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	აგათმყოფებს მიიღენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	3	1 53	როსტო, მდებს, მოსკოვ	2	შვეცილი წითელი	1 60	
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურგ, მარჯავს.	2	მერს ფუთი	1 20	
სურამი	1 44	4 90	2 61		ოსმალ. თმ., შვეიცარიაში.	3	ბამბა მრეცისა, ფუთი	8 50	მ. რ. შაბათს: მერმიშვი და ბა- რლევიჩი—შინაგ. ავთა., მიუჩა- რიანც—ქალის ექიმი და საშვი- ლოსნოს ოპერაციები.
შვირილა	5 49	7 21	3 69		იტალია და სარანგტოში.	3 50	ბავეტილი ბ მბა ფუთი.	10 5	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი—შინაგ. ა. მანსტოვი—სამებიო და ბავ- შვის. პეტროვი—ფალის.
რიონი	6 57	8 44	4 31		ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	6 50	მ. თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი ში- ნაგანი ავთაშვილის.
სამტრედია	7 51	9 66	4 93				— მარაქამისა ფუთი.	3 80	ნ. ხუ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი—შინაგ., მიუჩარიანცი—იდილიტიკუ- რი და საშარდგ ორგანების.
ახალ-სენაკი	8 43	10 71	5 47				აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	პ. არასკევს: მერმიშვი—შინაგ., ბ. ბახუტოვი—სამებიო, ქალისა და ბავშვების.
ფოთი	9 50	11 24	6 26				მონი, ფუთი	5 80	
შოთი	9 3				ა) თფილისიდან: სამსლვარ გარ- თ, მუთავს, რუსეთი—ყოველ დღე კვირას გარდა შუგდ. ორშ. და ხუთშ. მხურ.—ბარასკ. და ორშ. და ხუთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი- სიდან: თფილისისა და შოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა მხურ- გფთს—ორშ. და შარასკ.		მონის ხანთლი ფუთი	7 50	
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78			სტეარინის სანთელი ფთ.	12 40	ნაგანი ავთაშვილის.
სამტრედია	11 5		2 61	33			ხლოცი ძროხისა, ლიტ.	81	ნ. ხუ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი—შინაგ., მიუჩარიანცი—იდილიტიკუ- რი და საშარდგ ორგანების.
რიონი	12 13		3 84	1 97			— ცხვრისა, ლიტრა	1 8	
შვირილა	1 18	ლაპე.	5 3	2 56			სპირტი ვედრო	4 50	
სურამი	5 12		1 10	7 34			შაქარი, ბროც. ფუთი	7 25	
ხაშური	5 39		1 37	7 51			ფხვნილი ფუთი	5 70	
ფორი	7 5		4 8	9 24			შავა გრვ. ლი, გირვ.	70	
მცხეთა	8 50		6 59	11 39			ხეთი ქუჩუჯუთისა ფუთი	11 80	
თფილისი	9 31		7 56	12 24			თამბაქო, ს. შულო ფთ.	6 70	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი შინაგ. და პეტროვი—ფალისა.